მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2010 წლის 7 ოქტომბრის ბიუროს
სხდომის ოქმი №8

ქ. მცხეთა

დ. აღმაშენებლის ქ. № 73, 12.00 სთ.

სხდომის თავმჯდომარე – მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – ანდრო კალანდაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: გ. ატაშვილი – იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, თ. ღვინიაშვილი – საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, გ. ბაქრაძე – აგრარულ საკითხთა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე, გ. კუპრაშვილი – სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ნ. ქაშიაშვილი – ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, ვ. ყიფშიძე–ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობი"-ს თავმჯდომარე, ი. იორდანიშვილი –ფრაქცია „მაჟორიტარი"-ს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე, საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მ. მრევლიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე ქ. აქიაშვილი, საკრებულოს სპეციალისტები იურიდიულ საკითხებში მ. ლომოური და ბ. კოზმანაშვილი.

დამსწრეთა რაოდენობით ბიუროს სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და სხდომის თავმჯდომარემ წარმოადგინა დღის წესრიგი:

1. .პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 13 აგვისტოს №17 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე". მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

2. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 13 აგვისტოს №18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე". მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

3. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 13 სექტემბრის №19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე". მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

4. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის, დებულების დამტკიცების შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 13 სექტემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე". მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

5. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 13 სექტემბრის №21 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე". მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

6. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 13 სექტემბრის №23 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე". მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

7. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 13 სექტემბრის №26 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე". მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

8. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 13 სექტემბრის №27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე". მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

9. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

10. პროექტი „მცხეთის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

11. პროექტი მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“. მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

12. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”. მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

13. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”. მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

14. პროექტი „თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპიური ფორმის დამტკიცების შესახებ”. მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

15. პროექტი „შპს „მცხეთის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო გაერთიანების“ წესდების დამტკიცების შესახებ..” მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

16. პროექტი „ქ. მცხეთაში მცხოვრები მიხეილ ჩალათაშვილის მკურნალობისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“. მომხსენებელი გ. კუპრაშვილი

17. პროექტი „სოფელ წინამძღვრიანთკარში მცხოვრები ელენე ბექაურის მკურნალობისთვის თანხის გამოყოფის შესახებ”. მომხსენებელი გ. კუპრაშვილი

18. პროექტი „მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცებისა და საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ“. მომხსენებელი გ. ბაქრაძე

19. პროექტი „მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში სოფ. წეროვანში არსებული ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ“. მომხსენებელი გ. ბაქრაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს.

დღის წესრიგი მიღებულ იქნა ერთხმად.

თავმჯდომარე გადავიდა საკითხების განხილვაზე.

მოისმინეს:

1-8. მომხსენებელმა მ. მრევლიშვილმა აღნიშნა, რომ ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებული 1-8 საკითხი შეეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 13 აგვისტოს №-№17-18-19-20-21-23-26-27 დადგენილებებში ცვლილებების შეტანას, რომელიც უნდა განხორციელდეს მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის –გუბერნატორის ა/წლის 10 სექტემბრის №903 მომართვით გამოთქმული სამართლებრივი შენიშვნების გათვალისწინებით. მომხსენებელი შემოდის წინადადებით, ზემოთაღნიშნული დადგენილებები შესაბამისი ცვლილებებითა და დამატებებით შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ბიურომ გადაწყვიტა: დადგენილების პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

9. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში ახლადშექმნილ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურს დაემატა მთელი რიგი უფლება-მოვალეობანი, მიეცა საკუთარი ბეჭდით სარგებლობის უფლება, რამაც გამოიწვია მისი დებულების მთლიანი შეცვლა.

მომხსენებელი წინადადებით შემოდის, შეტანილ იქნეს სამსახურის ახალი დებულება საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად და ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2010 წლის 13 აგვისტოს №28 დადგენილებით მიღებული დებულება.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

10. პროექტი „მცხეთის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოახლოებულ „მცხეთობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით, საკრებულოს მიერ შემუშავებული იქნა დებულება „მცხეთის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ“ და წინადადებით შემოდის დებულების წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

11. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“.
მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გამგეობის მომართვით შემოსულია პროექტი „ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“.

აზრი გამოთქვეს:

მ. ლომოური – აღნიშნული მოწმობის ფორმა, რომელიც მიღებული იქნა საკრებულოს 2010 წლის 13 აგვისტოს №168 განკარგულებით, უნდა მიღებულიყო დადგენილებით, რის გამოც წარმოდგენილი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა განმეორებით უნდა იქნეს შეტანილი საკრებულოს სხდომაზე და მიღებულ იქნეს შესაბამისი დადგენილება.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

12-13. მომხსენებელმა, მ. მრევლიშვილმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ორი სამსახური. 1. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.
2. სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამგეობის მიერ წარმოდგენილია ამ სამსახურების დებულებები, რომლებიც ექვემდებარება საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენას.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

14. პროექტი „თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპიური ფორმის დამტკიცების შესახებ". მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ნიმუში დამტკიცებულ იქნა საკრებულოს 2010 წლის 3 სექტემბრის №31 დადგენილებით, მაგრამ იმის გამო, რომ იუსტიციის სამინისტროს ა/წლის 10 სექტემბრის №1478 წერილით მიღებულ იქნა სამართლებრივი შენიშვნები, საჭიროა ძალადაკარგულად გამოცხადდეს აღნიშნული დადგენილება და მიღებულ იქნეს ახალი დადგენილება საკრებულოს სხდომაზე.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

15. პროექტი „შპს „მცხეთის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო გაერთიანების" წესდების დამტკიცების შესახებ." მომხსენებელი მ. მრევლიშვილი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემოსულია შპს „მცხეთის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო გაერთიანების" წესდება და წინადადებით შემოდის პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

16. პროექტი „ქ. მცხეთაში მცხოვრები მიხეილ ჩალათაშვილის მკურნალობისთვის თანხის გამოყოფის შესახებ". მომხსენებელი გ. კუპრაშვილი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთაში მცხოვრებ მიხეილ ჩალათაშვილს ესაჭიროება თანხის გამოყოფა სს „ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში" მკურნალობისათვის, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 5 318 ლარს. კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და მიზანშეწონილად მიაჩნია საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

17. პროექტი „სოფელ წინამძღვრიანთკარში მცხოვრები ელენე ბექაურის მკურნალობისთვის თანხის გამოყოფის შესახებ". მომხსენებელი გ. კუპრაშვილი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფელ წინამძღვრიანთკარში მცხოვრებ მოქ. ელენე ბექაურს ესაჭიროება თანხის გამოყოფა შპს „მენტალვიტაში" მკურნალობისათვის, რომლის ღირებულება შეადგენს 1 900 ლარს. კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და წინადადებით შემოდის საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

18. პროექტი „მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცებისა და საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ". მომხსენებელი გ. ბაქრაძე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია პროექტი მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. მცხეთაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცებისა და საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ. წარმოდგენილი მასალების განხილვის საფუძველზე, კომისია წინადადებით შემოდის, პროექტი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

19. პროექტი „მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ". მომხსენებელი გ. ბაქრაძე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია პროექტი მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. წეროვანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 165 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის საწყისი საპრივატიზებო ფასის განსაზღვრის შესახებ. კომისიამ განიხილა წარმოდგენილი მასალები და წინადადება შემოაქვს პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარემ საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ანდრო კალანდაძე**

№	ღონისძიებების დასახელება	დამატებული თანხა	
1	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა გზების რეაბილიტაცია	75.0	ათ. ლარი

2	მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	45.8	ათ. ლარი
3	ქ. მცხეთის ისტორიული უბნების რეაბილიტაცია	200.0	ათ. ლარი
4	სამკურნალო დაწესებულებებში სოც. დაუცველი მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციების ჩატარების ხარჯები	90.0	ათ. ლარი
5	ერთდროული სოციალური დახმარება	5.0	ათ. ლარი
6	კულტულური ღონისძიებების დაფინანსება	4.2	ათ. ლარი
7	სოფ. გალავანში საჭიდაო დარბაზის დათბუნებული სახურავით მოწყობა (სენდვიჩ პანელი)	10.0	ათ. ლარი

430.0 ათ. ლარი

მიმდინარე დაზუსტებით, მცხეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის ასიგნებები გაიზარდა ადგილობრივი შემოსავლებით **170.0** ათ. ლარით და შეადგენს **15 910.2 ათ. ლარს.**

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

2. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს აპარატის დებულებების დამტკიცების შესახებ.“ მომხსენებელი მ. მრევლიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დებულებებში გათვალისწინებულია ყველა ის ცვლილებები და დამატებები, რომელიც შეტანილ იქნა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში და რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტი ექვემდებარება საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

ბიურომ გადაწყვიტა : წარმოდგენილი დებულებები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

3. პროექტი „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.” მომხსენებელი მ. მრევლიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 7 ივლისის №476 ბრძანებულების №4 დანართის შესაბამისად და ექვემდებარება საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

ბიურომ გადაწყვიტა : წარმოდგენილი თანამდებობრივი სარგოები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასმტკიცებლად.

მოისმინეს:

4. **პროექტი** „მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის, ადმინისტრაციული სამსახურის ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულებების დამტკიცების შესახებ.“ მომხსენებელი მ. მრევლიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მისი ახლად შექმნილი სამსახურების მიერ წარმოდგენილ დებულებებში გათვალისწინებულია ყველა ის ცვლილებები და დამატებები რომელიც შეტანილ იქნა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში და ექვემდებარება საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

ბიურომ გადაწყვიტა : წარმოდგენილი დებულებები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

5. **პროექტი** „მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.“ მომხსენებელი მ. მრევლიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 7 ივლისის №476 ბრძანებულების №4 დანართის შესაბამისად და ექვემდებარება საკრებულოს სხდომაზე განხილვას.

ბიურომ გადაწყვიტა : წარმოდგენილი თანამდებობრივი სარგოები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

6. **პროექტი** „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ.“ მომხსენებელი მ. ლომოური.

მომხსენებელმა აღნიშნა, პროექტის შემოტანა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ” საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგენს თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო-საკრებულო აღნიშნულის საფუძველზე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

ბიურომ გადაწყვიტა : წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

7. **პროექტი** „მცხეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული სოფ. წეროვანში მდებარე ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.” მომხსენებელი ნ. ქაშიაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემოსულია მომართვით დამტკიცებული იქნეს მცხეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული სოფ. წეროვანში მდებარე ქონების საპრივატიზაციო ნუსხა, რომელშიც შედის სოფელ წეროვანში (ლტოლვილთა დასახლებაში) მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მათზე განთავსებული საცხოვრებელი სახლებით. შემდგომში აღნიშნული ქონების მიყიდვა გათვალისწინებულია ლტოლვილებისათვის მისასყიდად სიმბოლურ ფასად – 1 ლარად კომისიას წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიაჩნია საკითხი გადაწყდეს დადებითად.

ბიურომ გადაწყვიტა : წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს:

8. საკითხი „მცხეთა. დაბა ზაჰესში მდებარე 155 კვმ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.” მომხსენებელი გ. ბაქრაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემოსულია მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მომართვა დაბა ზაჰესში, პლატინის ქ. №2-ში მდებარე 155 კვმ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და დასკვნის საფუძველზე წინადადებით შემოდის, პროექტი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

9. საკითხი „სოფ. წეროვანში მდებარე 1000 კვ.მ და 44578 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.” მომხსენებელი გ. ბაქრაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემოსულია მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მომართვა სოფ. წეროვანში მდებარე 1000 კვ.მ და 44578 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და დასკვნის საფუძველზე წინადადებით შემოდის, პროექტი გავიდეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

10. საკითხი „მცხეთაში მდებარე 499 კვმ და 700 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.” მომხსენებელი გ. ბაქრაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემოსულია მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მომართვა ქ. მცხეთაში მდებარე 499 კვმ და 700 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და დასკვნის საფუძველზე წინადადებით შემოდის, პროექტი გავიდეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

11. საკითხი „ქ. მცხეთაში მდებარე 95 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.”

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემოსულია მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მომართვა ქ. მცხეთაში მდებარე 95 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და დასკვნის საფუძველზე წინადადებით შემოდის, პროექტი გავიდეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს :

12. საკითხი „სოფ. საგურამოში მდებარე 293 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.“ მომხსენებელი გ. ბაქრაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემოსულია მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მომართვა სოფ. საგურამოში მდებარე 293 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და დასკვნის საფუძველზე წინადადებით შემოდის, პროექტი გავიდეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს :

13. საკითხი „ო. ქაშიაშვილის განცხადება მკურნალობისთვის თანხის გამოყოფის შესახებ.” მომხსენებელი გ. კუპრაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა შემოსულია პროექტით სოფ. წილკანში მცხოვრები მოქ. ოთარ ქაშიაშვილის შპს „რანდში” მკურნალობისთვის თანხის გამოყოფის შესახებ.

მოისმინეს :

14. პროექტი- „მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შაქრიანი დიაბეტით, ეპილეფსიითა და ფსიქიური აშლილობით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის შესახებ.“ მომხსენებელი გ. კუპრაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შაქრიანი დიაბეტით, ეპილეფსიითა და ფსიქოლოგიური აშლილობით დაავადებულ პაციენტებისათვის ხელმისაწვდომი რომ გახდეს საჭირო მედიკამენტები, მცხეთის მუნიციპალიტეტი შემოდის წინადადებით, რომ გამოიყოს თანხები და გადაირიცხოს სააფთიაქო დაწესებულებაში, რათა ავდმყოფები უზრუნველყოფილ იქნენ უფასო მედიკამენტებით.

კომისია შემოდის წინადადებით საკითხი გადაწყდეს დადებითად და პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

ბიურომ გადაწყვიტა: პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს :

15. მოქ. ა. ღარიბაშვილის განცხადება საცხოვრებელი ბინის საფოსტო მისამართის დაზუსტების შესახებ. მომხსენებელი ნ. ქაშიაშვილი.

მოისმინეს :

16. მოქ. ი. ზაქარეიშვილის საცხოვრებელი სახლის საფოსტო მისამართის დაზუსტების შესახებ. მომხსენებელი ნ. ქაშიაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განმცხადებელი ითხოვს საფოსტო მისამართის დაზუსტებას. კომისიამ განიხილა მასალები და დაადგინა, რომ ქ. მცხეთაში 1972 წლამდე

არსებული არსრენას №3 შესახვევი, ხოლო 1990 წლამდე – არსენას ქ. №28, დღეისათვის არის კონსტანტინე გამსახურდიას ქ. №35.

კომისია შემოდის წინადადებით, განმცხადებელზე გაიცეს შესაბამისი ცნობა საფოსტო მისამართის დაზუსტების შესახებ.

ბიურომ გადაწყვიტა : გაიცეს ცნობა განმცხადებელზე.

მოისმინეს :

17. ხ. ომარაშვილის განცხადება საცხოვრებელი ბინის საფოსტო მისამართის დაზუსტების შესახებ. მომხსენებელი ნ. ქაშიაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განმცხადებელი ითხოვს საფოსტო მისამართის დაზუსტებას. კომისიამ განიხილა მასალები და დაადგინა, რომ ხვიჩა ომარაშვილის საცხოვრებელი ბინის მისამართია ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ. №99, ბ. №34, ნაცვლად №36-ისა.

კომისია შემოდის წინადადებით, განმცხადებელზე გაიცეს შესაბამისი ცნობა საფოსტო მისამართის დაზუსტების შესახებ.

ბიურომ გადაწყვიტა : გაიცეს ცნობა განმცხადებელზე.

მოისმინეს :

18. ლ. მახარაშვილის განცხადება საცხოვრებელი სახლის საფოსტო მისამართის დაზუსტების შესახებ. მომხსენებელი ნ. ქაშიაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განმცხადებელი ითხოვს საფოსტო მისამართის დაზუსტებას. კომისიამ განიხილა მასალები და დაადგინა, რომ ლამარა მახარაშვილის საცხოვრებელი სახლის მისამართია ქ. მცხეთა, არუკიძის ქ. №13, ყოფილი კალინინის ქ. №13.

კომისია შემოდის წინადადებით, განმცხადებელზე გაიცეს შესაბამისი ცნობა საფოსტო მისამართის დაზუსტების შესახებ.

ბიურომ გადაწყვიტა : გაიცეს ცნობა განმცხადებელზე.

მოისმინეს :

19. ქ. მცხეთაში, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. №26-ში მცხოვრები გივი მაჩხანელის განცხადების განხილვა საცხოვრებელი სახლის საფოსტო მისამართის დაზუსტების შესახებ. მომხსენებელი ნ. ქაშიაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განმცხადებელი ითხოვს საკუთარი საცხოვრებელი სახლის საფოსტო მისამართის დაზუსტებას. კომისიამ ადგილზე გასვლითა და მასალების განხილვით დაადგინა, რომ გივი მაჩხანელის საცხოვრებელი სახლის მისამართია ქ. მცხეთა, გამსახურდიას ქ. №26, ყოფილი არსენას ქ. №26.

კომისია შემოდის წინადადებით, განმცხადებელზე გაიცეს შესაბამისი ცნობა საფოსტო მისამართის დაზუსტების შესახებ.

ბიურომ გადაწყვიტა : გაიცეს ცნობა გივი მაჩხანელის საცხოვრებელი სახლის საფოსტო მისამართის შესახებ.

მოისმინეს :

20. **პროექტი „**მცხეთის მუნიციპალიტეტის ქსოვრისის ტერირორიული ორგანოს სოფ. ვარდისუბნის და ვაზიანის ტერიტორიული ორგანოს სოფ. ვაზიანის დამისამართების შესახებ.” მომხსენებელი ნ. ქაშიაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიენიჭა უფლებამოსილება კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს მასშტაბით დამისამართების პროცესს, ამის საფუძველზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ პილოტ პროექტის სახით განხორციელდა სოფ. ვარდისუბნისა და სოფ. ვაზიანის დამისამართება, კერძოდ ქუჩებს, უბნებს, საცხოვრებელ და არა საცხოვრებელ შენობა-ნაგებობებს მიენიჭათ შემდეგი სახელები და ნომრები :

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაზიანი
   1. #3 ქუჩას – ზვიად გამსახურდიას სახელობის;
   2. #4 ქუჩას – ქეთევან წამებულის;
   3. #5 ქუჩას – წმინდა გიორგის;
   4. #6 ქუჩას – 9 აპრილის;
   5. #7 ქუჩას – თამარ მეფის;
   6. #8 ქუჩას – ზვარის დასახლება;
   7. #9 ქუჩას – გამარჯვების;
   8. #10 ქუჩას – გიორგი სააკაძის;
   9. #11 ქუჩას – იაკობ გოგებაშვილის;
   10. #12 ქუჩას – ვაჟა–ფშაველას.

13. სოფლის ჩრდილოეთით არსებულ დასახლებას –ზვარის დასახლება;

14. სოფელში არსებულ ციხე– კოშკის მიმდებარე ტერიტორიას – კოშკის უბანი;

15.სოფლის შესასვლელში სამხრეთ–დასავლეთით არსებულ დასახლებას–ახალშენის დასახლება;

2. სოფელ ვარდისუბანში არსებულ ქუჩას მიენიჭოს ქსნის ქუჩის სახელდება.

წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, კომისია შემოდის წინადადებით, საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

ბიურომ გადაწყვიტა : პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:

21. საკითხი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.” მომხსენებელი გ. კუპრაშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან დასამტკიცებლად შემოსულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების სტრუქტურა და საშტატო ნუსხა. კომისია შემოდის წინადადებით, მომზადდეს საკრებულოს თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად.

ბიურომ გადაწყვიტა: მომზადდეს საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება წარმოდგენილ საკითხზე.

მოისმინეს:

22. საკითხი „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული „ქონების საკუთრების უფლების დამდასტურებელი მოწმობის“ ფორმის დამტკიცების შესახებ.” მომხსენებელი მ. ლომოური.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან დასამტკიცებლად შემოსულია მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული „ქონების საკუთრების უფლების დამდასტურებელი მოწმობის“ ფორმა. „ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კომისია წინადადებით შემოდის საკუთრების მოწმობის ტიპიური ფორმა წარდგენილ იქნეს საკრებულოს სხომაზე დასამტკიცებლად.

ბიურომ გადაწყვიტა: საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარემ საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ანდრო კალანდაძე**